საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ჩვიდმეტ სექტემბერს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **თამაზ შარიქაძემ.** მან განაცხადა, რომ არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "შარავანდი"**-ს კაპიტალის 100% წილის მფლობელი პარტნიორი და დირექტორი, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ამონაწერით, განაცხადის №524685, განაცხადის რეგისტრაციის №B12100464, საიდენტიფიკაციო №208190125 და რომ სურს შეადგინოს მისთვის მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ **ლადო ჭანტურიას.** მოითხოვა შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე მომმართა ნამდვილად ბატონმა **თამაზ შარიქაძემ,** დაბადებულმა 1972 წლის 18 თებერვალს თბილისში, პირადი №01019007389, რეგისტრირებული ქ.თბილისში, დიდი დიღომი, ი.ჭავჭავაძის ქ.№8"ა", ბინა 17.

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირს. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა იგი, ხათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ჩვიდმეტ სექტემბერს მე, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "შარავანდი"**-ს კაპიტალის 100% წილის მფლობელი პარტნიორი და დირექტორი, **თამაზ შარიქაძე,** წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლებამოსილებას **ლადო ჭანტურიას,** დაბადებულს 1984 წლის 10 მაისს თბილისში, პირადი №01024032026, რეგისტრირებულს ქ.თბილისში, ზ.ჟვანიას ქ.№63, აწარმოოს ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №108-ში მდებარე შპს "შარავანდი"-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საბროქტო და სამშენებლო საქმეები, ამასთან დაკაუშირებით იოყოს შპს "შარავანდი"-ს წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურში, მერიაში, ჩაბაროს და მოიპოვოს ყველა საჭირო საბუთი, მიიღოს პროექტი და შენებლობის ნებართვა, მოაწეროს ხელი ნებისმიერ საჭირო დოკუმენტებს და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ექვსი წლის ვადით.

მინდობილობა დადასტურებულია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, სამი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ერთვის შპს "შარავანდი"-ს წესდების ასლი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ამონაწერი შპს "შარავანდი"-ს შესახებ, განაცხადის №524685, განაცხადის რეგისტრაციის №B12100464, საიდენტიფიკაციო №208190125.

გადახდილია 13,80 ლარი - აქედან: საზღაური 10,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 1,80 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

შპს "შარავანდი"-ს სახელით,
კაპიტალის 100% წილის მფლობელი
პარტნიორი და დირექტორი: თამაზ შარიქაძე

ნოტარიუსი: ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

30200005263412

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120993320

რეგისტრაციის თარიღი

17.09.2012 წ

ნოტარიუსი: ნინო მასხულია

მისამართი: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.

ტელეფონი: 2997150

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18